წალკის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს სხდომის

ოქმი N1

ქ.წალკა

24 ნოემბერი 2025 წელი

საბჭოს თავმჯდომარე ჯაბა აბულაძე,
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მარიამ ლომთათიძე,
საბჭოს მდივანი მანანა გულედანი,
საბჭოს წევრები:

მელიტონ პაკელიანი
ჯემალი ბერიძე
ნუგზარი ჩამურლიევი
ლევონ მარკოსიან
ანტარამ მელტონიან
მარინე ირემაძე
ევგენია ფურცელაძე
ირმა ჩხეტიანი
ეკა ვიბლიანი
ფოტის ტერსენიდის
გიორგი პეპანიან
ნაზიბროლა კეკელიძე

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე.
სხდომა დასრულდა 12:45 საათზე.

ანზორ ხინიკაძე- წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე/

ამირან საყვარელიძე-მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი/

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი "წალკის მუნიიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ";

2. განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პრიორიტეტების დამტკიცების შესახებ".

სხდომამ განიხილა:

1. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჯაბა აბულაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულია დადგენილების პროექტის „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ განხილვა. რის შემდეგაც მომხსენებელებმა წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ამირან საყვარელიძემ საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო განსახილველი დადგენილების პროექტი. აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს საბჭოს წევრებმა: მარიამ ლომთათიძემ, მანანა გულედანმა, ნაზიბროლა კეკელიძემ, გიორგი პეპანიანმა. სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე საბჭოს წევრებს განსახილველ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შეკითხვები და შენიშვნები არ გააჩნიათ. საბჭომ ღია კენჭისყრით (15 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: საქართველოს ორგანული კანონის ‘ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 91-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 86-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაბრუნებული იქნეს 2026 წლის წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი თანდართული შენიშვნებით:

ბიუჯეტის დანართის მე-15 მუხლის 04 04 კოდით მითითებული „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა“ უნდა შეიცვალოს „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობით“, შესაბამისად აღნიშნული კოდით მითითებული პროგრამის აღწერა და მიზანი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
ა) მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის გაუმჯობესების, ქალთა და მამაკაცთა უფლებების თანასწორი რეალიზაციისათვის და ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფისათვის საკითხების შესწავლა, საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, შესაბამის წინადადებათა მომზადება და განხორციელება, შესაბამისი ღონისძიებების კოორდინირება;
წალკის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოსთან თანამშრომლობით სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის თანამონაწილეობითი პროცესების ინიცირება; მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახის“ მუშაობის კოორდინაცია; ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა კვლევების, საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებების ჩატარება, რომელიც მიმართული იქნება ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პოლიტიკის და ქალთა და ბავშვთა უფლებების უზრუნველყოფის განხორციელებისთვის. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით ქალების გადამზადება და უნარების გაძლიერება სხვადასხვა მიმართულებით;
ბ) მოსალოდნელი შედეგი: უზრუნველყოფილია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის თაობაზე ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება და ქალთა და ბავშვთა საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმილია ღონისძიებები;
ასევე მე-15 მუხლში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობისათვის გასათვალისწინებელია დაფინანსება 20000 ლარის ოდენობით, ხოლო მე-19 მუხლის

ბიუჯეტის ასიგნებების 04 04 კოდის ტექსტი „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა“ შეიცვალოს „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობით“.
ასევე მე-15 მუხლში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობისათვის გასათვალისწინებელია დაფინანსება 20000 ლარის ოდენობით, ხოლო მე-19 მუხლის ბიუჯეტის ასიგნებების 04 04 კოდის ტექსტი „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა“ შეიცვალოს „ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობით“;

2. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჯაბა აბულაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულია განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პრიორიტეტების დამტკიცების შესახებ“. რის შემდეგაც მომხსენებელებმა წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ამირან საყვარელიძემ საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნო განსახილველი განკარგულების პროექტი. აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვეს საბჭოს წევრებმა: მარიამ ლომთათიძემ, ირმა ჩხეტიანმა, ევგენია ფურცელაძემ, ფოტის ტერსენიდისმა. სხდომის თავმჯდომარის შეკითხვაზე საბჭოს წევრებს განსახილველ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შეკითხვები და შენიშვნები არ გააჩნიათ. საბჭომ ღია კენჭისყრით (15 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: მოწონებული იქნეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პრიორიტეტების დამტკიცების შესახებ“ და მიჩნეულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისთვის მომზადებულად;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წალკის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე ჯაბა აბულაძე